30/06/2025

MES 1 25 0000786710

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 17.06.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 22:50 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ლევან შავაძე - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ქეთევან აფთარაშვილი - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ვაჟა კელიხაშვილი - ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. ბონდო გასვიანი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. დავით კაპანაძე - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი
6. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი.
7. თამარ ზარანდია - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

8. თეა მჭედლური - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
9. ირინა ლობჟანიძე - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
10. მაქსიმ იავიჩი - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
11. მზია წიკლაური - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
12. ქეთევან ნანობაშვილი - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
13. ციური დურული - სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
14. ვლადიმერ ადეიშვილი - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საბჭოს სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული წევრები:

1. ნანა ვალიშვილი - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის მოადგილე, ეთნომუსიკოლოგი.
2. ლეილა მარუაშვილი - სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

- **დავით კუხალაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ლალი ოდიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- **გვანცა ძიძიგური -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

1. სოსო გოგილიძე - პრორექტორი აკადემიურ და სამეცნიერო დარგში
2. არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
3. გიორგი უშიკიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
4. მალხაზ ერქვანიძე - პროგრამის თანახელმძღვანელი
5. ოთარ კაპანაძე - პროგრამის თანახელმძღვანელი

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

1. დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
2. ნანა შარიქაძე - პროგრამის ხელმძღვანელი
3. ეკატერინე კიკნაძე - პროგრამის ხელმძღვანელი
4. ნინო ჟიჟილაშვილი - ფაკულტეტის დეკანი
5. ანა მგალობლიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
6. გიორგი სალუქვაძე - პროგრამის ხელმძღვანელი
7. მარიამ მენაბდე - პროგრამის ხელმძღვანელი
8. მარიამ იაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ნიკოლოზ ყაველაშვილი - ფაკულტეტის დეკანი
2. გიორგი ქემერტელიძე - პროგრამის ხელმძღვანელი
3. ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
4. მაია ბიწაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

აკრედიტაციის ექსპერტები, საკითხი, რომლის შეფასებაშიც მონაწილეობდა
პირველი საკითხი:
ა) რიმა პავილიონიენე (Rima Pavilionienė) (თავმჯდომარე);
ბ) რუსუდან თაყაიშვილი (წევრი);
გ) თამარ ძველაია (წევრი);
დ) ნინო ტალიკაძე (წევრი);
ე) ანა მიხელიძე (წევრი).

მეორე საკითხი:
ა) ნინო სილაგაძე (წევრი);
ბ) ნინო ქავთარია (წევრი);
გ) თინათინ გაბრიჩიძე (წევრი);
დ) გიორგი ფარეშიშვილი (წევრი).

მესამე საკითხი:
ა) კოსტას მანტზალოსი (Costas Mantzalos) - (თავმჯდომარე);
ბ) მაია ლევანიძე (წევრი);
გ) გიორგი ნიკურაძე (წევრი);
დ) ქრისტინე ჩიხლაძე (წევრი);
ე) ალექსანდრე კალანდაძე (წევრი).

მეოთხე საკითხი:

ა) დავით სიხარულიძე (თავმჯდომარე);

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ - ლევან შავაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტს "აიიუთი"-ის ფარმაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ციფრული კომუნიკაცია და მედია - არტის" საბაკალავრო და "გრაფიკული დიზაინის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანაშვილმა დააყენა შემდეგი შუამდგომლობები:

1. ცენტრში შემოსულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის 2579, 11/06/2025 წერილი, რომლის შესაბამისად აღნიშნულია, რომ "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა ჩანიშნულია 2025 წლის 20 ივნისს. დაწესებულების მიერ მოთხოვნილია საკითხის განხილვა 17 ივნისის საბჭოს სხდომაზე, რომლის დასაბუთება მოცემულია წერილში.
2. ცენტრში შემოსულია შპს უნივერსიტეტ გეომედის 1250, 11/06/2025 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 თებერვლის 472208 გადაწყვეტილებაში, შპს უნივერსიტეტ გეომედის „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ, დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი. გადაწყვეტილების 1-ელ პუნქტში აკრედიტაციის ვადა განსაზღვრულია „2023 წლის 21 თებერვლამდე“, ნაცვლად 2032 წლის 21 თებერვლისა. დაწესებულება ითხოვს ტექნიკური ხარვეზის გასწორებას.
3. ცენტრში შემოსულია სსიპ - საქართველოს დავით აღმაშენებლის ეროვნული თავდაცვის აკადემიის 700917, 2/06/2025 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის №210672, 27.02.2025 ოქმში არასწორადაა დაფიქსირებული აკადემიის "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დაფიქსირებულია „რესურსების მართვის მაგისტრი". მიზანშეწონილია, აღნიშნული ჩანაწერი შეიცვალოს შემდეგნაირად: "მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი".
4. ქეთევან ინანაშვილმა, ასევე განაცხადა, რომ შპს კავკასიის უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის პროცესში ჩართული ექსპერტები, გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო, ვერ ესწრებიან საბჭოს სხდომას. მან განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრები უფლებამოსილები არიან განიხილონ საკითხი ექსპერტთა დასწრების გარეშე, თუ მათ კითხვები არ აქვთ. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და გადაწყვიტეს, საკითხის გადადება.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტს "აიიუთი"-ის ფარმაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ციფრული კომუნიკაციის და მედია - არტის" საბაკალავრო და "გრაფიკული დიზაინის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. "შპს უნივერსიტეტ გეომედის „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 თებერვლის №472208 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ცვლილების შეტანის შესახებ;
7. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 27 თებერვლის №415507 სხდომის ოქმში ტექნიკური ცვლილების შეტანის შესახებ.

პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ქართული ტრადიციული მუსიკა
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (ტრადიციული მუსიკა)
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხების ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს განსახილველ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას საკითხთან მიმართებით. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს განსახილველი საკითხის ირგვლივ.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საერთაშიროსო ექსპერტი რიმა პოვილიონიენემ Rima Pavilionienė დამსწრე პირებს დააცნო ექსპერტთა დასკვნაში აღწერილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები. მან ასევე, აღნიშნა, რომ პროგრამის ამოქმედებამდე უნდა შესრულებულიყო ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები ექსპერტთა დასკვნის მიმართ.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა განახორციელეს საქმიანი ვიზიტი, დასვეს კითხვები და გასცეს რეკომენდაციები, რასაც ინსტიტუცია ნაწილობრივ ეთანხმება. ყურადღება გაამახვილა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე, რომელიც გულისხმობდა, რომ სტუდენტების ბედი პროგრამის დასრულების შემდეგ არ იყო გადაწყვეტილი დასაქმების მიმართულებთ. არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ მსგავსი რეკომენდაციები მისთვის გაუგებარია, ვინაიდან რეკომენდაცია უნდა გამომდინარეობდეს და აფასებდეს სტანდარტიდან გამომდინარე პროგრამის შინაარსობრივ ან ტექნიკურ მხარეს, ხოლო რაც შეეხება სამომავლოდ სტუდენტების დასაქმებას, სტანდარტებით აღნიშნული გათვალისწინებული არ არის. დაწესებულებისთვის მთავარი მოცემული პროგრამის განხორციელებისას არ არის კომერციული მოგების არსებობა, რადგანაც უნივერსიტეტს გათვლა აქვს შენარჩუნდეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული მოცემულობა. ვინაიდან მოცემული მიმართულებით რეალობაში მდგომარეობა სახარბიელო არ არის. უნივერსიტეტის მიზანია, მოცემულ პროგრამასთან მიმართებით გაზარდოს პროფესიონალი კადრები, რომლებიც იქნებიან შემსრულებლები. მან ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამის შინაარსის გაფართოებას, მისთვის გაუგებარი იყო, რადგანაც რეკომენდაციის გაცემისას მნიშვნელოვანია აღიწეროს, თუ რა იგულისხმება აღნიშნულში. დაწესებულება ეყრდნობა მიზანს და საკვალიფიკაციო ჩარჩოს, დაწესებულება მიემართება მიზნისკენ, რათა გაზარდოს საშემსრულებო თვალსაზრისით კადრები. აუცილებელი კომპეტენციის შემადგენელი კურსები მოცემულია პროგრამაში, ხოლო დამატებით შინააარსობრივი მითითება ამ მიმართულებით არ ყოფილა. ასევე, იყო რეკომენდაციები კონკრეტულ კურსებთან მიმართებით, რომ არჩევით კურსებად ყოფილიყო გადატანილი. მისი თქმით, დაწესებულების მხრიდან ზოგიერთი რეკომენდაცია იყო გაზიარებული, ხოლო შინაარსობრივ მხარეზე პროგრამის ხელმძღვანელები ისაუბრებდნენ.

პროგრამის ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა, კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებულ რეკომენაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამა ექსკლუზიური

იყო, ვინაიდან დიდი განსხვავება იყო სხვა უნივერსიტეტების პრაქტიკასთან, ვინაიდან, მოცემული პროგრამა ორიენტირებული იყო ტრადიციულ საშემსრულებლო მიმართულებაზე. პროგრამა ზრდიდა შემსრულებელს და არა ლოტბარს ან დირიჟორს. პროგრამის შექმნისას გათვალისწინებულ იქნა ყველა ის პრობლემა, რაც დგას დღის წესრიგში და ასევე, ბაზრის მოთხოვნები. აღსანიშნავია ასევე, რომ ეთნომუსიკოლოგი მალხაზ ერქვანიძე, რომლის შემოქმედებაზე გაიზარდა ძალიან ბევრი თაობა, რომლის სახელს უკავშირდება ანჩისხატის გალობა ა.შ. ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. ასევე, კომპეტენციის თვალსაზრისით, მოცემული პროგრამა დაკომპლექტებული იყო მაღალი კომპეტენციის მქონე პედაგოგებით და კონკურენციის კუთხით სწორედ ეს იყო ის, რომ პროგრამაზე იქნებოდა ისეთი სწავლება, რომელიც მიმართული იქნება სწორედ ტრადიციული შემსრულებლობისკენ. მან ასევე აღნიშნა, რომ შესაძლებელია უცხოელი ექსპერტი საქმის კურსში არ იყოს რეგიონებში საშემსრულებლო საკითხის არსებობასთან დაკავშირებით. მაგალითად, იმ კუთხით, რომ ხალხურ მუსიკაში შემოჭრილია აკადემიური მანერა, რომელიც ანგრევს მოცემულ პრინციპებს. რაც შეეხება კვალიფიკაციას, იყო მოცემული ქართული ხალხური მუსიკის ლოტბარი და დირიჟორი, რომლის აღებაც შეგნებულად არ მოხდა პროგრამისთვის, ვინაიდან ტრადიციულ შესრულებას რაც ანგრევს, სწორედ არის დირიჟორობა. ეს საკითხი მოხსნილია და პროგრამა წასულია სხვა მიმართულებით. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისათვის მოცემული პროგრამა იყო ეროვნული მნიშვნელობის, ვინაიდან თავმოყრილნი არიან ქვეყანაში საუკეთესო პედაგოგები. უნივერსიტეტმა უკვე მიიღო აკრედიტაცია „ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის“ პროგრამაზე და სწორედ ეს ორი მიმართულება ყალიბდება ტრადიციული ხელოვნებისა, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ არის საქართველოს უნივერსიტეტის დონაციაზე და, რაც ყველაზე მთავარია, მაქსიმალური ხელშეწყობაა მაღალი დონის ინფრასტრუქტურის, ექსპედიციებში წასვლის, პროფესიონალი კადრების ნაწილში, მათ შორის ჩაწერების განხორციელების ნაწილშიც. ასევე ორი საგანი, ,,დაოსტატება ტრადიციულ გარემოში'' და ,,საექსპედიციო პრაქტიკა'', მიმართულია სწორედ ტრადიციული შესრულებისაკენ.

მალხაზ ერქვანიძემ აღნიშნა, რომ იყო ქართული გალობის აღდგენის სათავეებთან, ქართულ ტრადიციულ შემსრულებლობასთან ავთენტური მიმართულებით. ის არის ფოლკლორისტი და აქვს სამეცნიერო ნაშრომები. ასევე, აღნიშნა, რომ ასევე ქართული მუსიკალური სკოლის გახსნა მიმდინარე წელს იგეგმება. მან აღნიშნა, რომ მათ სურთ შექმნან ევროპული მუსიკალური აღზრდის საპირწონედ ქართული მუსიკალური აღზრდის სისტემა, რომელიც უკვე ინტეგრირებულია პროგრამაში. მას მიაჩნია, რომ ამ პროგრამის განხორციელებისთვის სრულიად ახალ მიმართულებებს ეყრება საფუძველი. მისი თქმით, წარმოდგენილ პროგრამაში ინტეგრირებულია თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. მაგალითად, დადგენილია მუსიკალური სისტემის ზეპირი სწავლების ტრადიცია. ეს კომპლექსური სწავლებაა და მხოლოდ მელოდიების, სიმღერებისა და საგალობლების დაზეპირებაზე არ არის ორიენტირებული. პრიორიტეტულია ზეპირი ტრადიციით სწავლება და ეამაყება უნივერსიტეტს, რომ დაწესებულება ახდენს ამ მიმდინარეობის აღდგენას და აპირებს მის განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ოთარ კაპანაძემ აღნიშნა, რომ ახალი საგანმანათლებლო სივრცე შესაძლებელია შეიქმნას ტრადიციული მუსიკის მიმართულებით, რაც პროგრამის უფრო მეტ მიზანსაც კი მოიცავს. ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე კი აღნიშნა, რომ ჩაატარეს ბაზრის ფართომასშტაბიანი კვლევა და სფეროს სპეციალისტებისგან დადებითი შეფასება მიიღეს. ასევე აღნიშნა, რომ ბაზრის კვლევა მუდმივად განახლდება, რათა დაეხმარონ სტუდენტებს დასაქმებაში. მას მიაჩნია, რომ პროგრამა ფართო ცოდნას მისცემს სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს არ გაუჭირდებათ სხვადასხვა მიმართულებით დასაქმება. ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია, ასევე ეხებოდა სასწავლო გეგმის მიზანში გაწერილ ჩანაწერს, სადაც აღნიშნულია, რომ მიღებული ცოდნის

შემდეგ, სტუდენტი არამხოლოდ მისაღები კანდიდატურა იქნება სხვადასხვა ანსამბლში, არამედ თავადაც შეძლებს, რომ ჩამოაყალიბოს და ასწავლოს საშემსრულებლო ჯგუფებს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მისი თქმით, პროგრამის კურსდამთავრებულის კვალიფიკაცია უპირველესად არ ითვალისწინებს, მენეჯერისა და პედაგოგის აღზრდას. მან აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულს მიენიჭება სრულიად ახალი კვალიფიკაცია, ,,სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში''. მისანიჭებელი კვალიფიკაციის იდეა გაჩნდა კონსერვატორიიდან და ეთნო მუსიკოლოგებისგან, აქამდე მოქმედი კვალიფიკაციები, როგორც წესი, ითვალისწინებდა დირიჟორის კვალიფიკაციას, რაც მიაჩნია, რომ სრულიად არაბუნებრივია, ქართული ტრადიციული მუსიკისთვის/გალობისთვის. მან აღნიშნა, რომ კვალიფიკაცია არ მოიაზრებს დირიჟორის გაზრდას, არამედ მოიცავს მაღალი რანგის შემსრულებლის გაზრდას. ასევე, გაიცა რეკომენდაცია, რომ კურსი ,,ქართული ხალხური თამაშები'', პროგრამის უნიკალური კურსი, უნდა გადასულიყო არჩევითიდან ძირითად კურსად. მიაჩნიათ, რომ კომპეტენციაზე გამსვლელი კურსებით იმდენად დახუნძლულია პროგრამა, რომ ამ ეტაპისთვის რომელიმე სპეციალობის კურსის ჩანაცვლება ვერ მოხერხდა. ასევე აღნიშნა, რომ გაიცა რეკომენდაცია გარკვეულ კურსებში თეორიული ნაწილის შემცირებასთან დაკავშირებით, კერძოდ: ,,ქართული ხალხური სიმღერა'', ,,საეკლესიო გალობა'' და ,,ქართული ხალხური საკრავები'', თუმცა მას მიაჩნია, რომ ისინი ძირითადი კურსებია, რომლებზეც დგას პროგრამა. ასევე, აღნიშნა, რომ პროგრამა იყო უნიკალური, ვინაიდან ის ინტეგრირებული სახითაა წარმოდგენილი, სამი წლის მანძილზე მიმდინარეობდა ინტენსიური სწავლება. ძალიან ხშირად ერთ სილაბუსში შესაძლოა რამდენიმე საგანი იყოს ინტეგრირებული, რაც გამართლებული მეთოდია, პრაქტიკულ ნაწილთან ერთად შესაბამისი თეორიული ნაწილის სწავლება. დაწესებულება შეეცადა, მაქსიმალურად აეხსნა, რა მოიაზრებოდა ტრადიციული სიმღერის ნაწილში და რა გალობის ნაწილში. მან ასევე, აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელი იქნება რამდენიმე რეკომენდაცია, მაგალითად შემაჯამებელი გამოცდის თვალსაჩინოებასთან დაკავშირებით. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ ნებისმიერი რჩევა მხოლოდ და მხოლოდ დაეხმარებოდა პროგრამას განვითარებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა მოწვეულ ექსპერტებს წარმოედგინათ, მათი პოზიცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.

მოწვეულმა ექსპერტმა ნანა ვალიშვილმა აღნიშნა, რომ ეთანხმება დაწესებულების წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებულ პოზიციას, მიაჩნია რომ მაღალპროფესიულ დონეზე მიმდინარეობს გარკვეული მიმართულებით სწავლება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ ყველა მათგანს აქვს თავისებური საშემსრულებლო თუ თეორიული მიმართულებები, რომლისგანაც მოცემული ახალი პროგრამა განცალკევებით დგას. პირველ რიგში იმ მოცემულობით, რომ პროგრამაზე უნიკალური საგნები ისწავლება, როგორიცაა ,,დაოსტატება ტრადიციულ გარემოში'' და ,,საველე მუშაობა''. აღნიშნულის სწავლება იძლევა იმის გარანტიას, რომ სტუდენტი ჩაწვდება ქართული ფოლკლორის თავისებურებებს. უშუალო ურთიერთობით ძველ ჩანაწერებთან და თანამედროვე ეთნოფორებთან, ხოლო საველე მუშაობაში, უშუალოდ გაეცნობა და ჩაწვდება იმ ყოველივეს, რასაც ქართული მუსიკალური აზროვნება ჰქვია. მან აღნიშნა, რომ პირადი გამოცდილებითაც, რომ არა ექსპედიციები, რომლებშიც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან მონაწილეობდა, ღრმად ვერ ჩაწვდებოდა ქართულ ტრადიციულ მუსიკალურ აზროვნებას.

რაც შეეხება მალხაზ ერქვანიძეს, მან აღნიშნა, რომ ის არის ადამიანი, რომელმაც აბსოლუტურად სხვანაირად, სიღრმისეულად დაინახა და შეისწავლა ქართული მუსიკალური აზროვნების პრინციპები და გამოხატვის საშუალებები. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების პოზიცია, დირიჟორობის საკითხის პროგრამაში არგათვალისწინების შესახებ, სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ შემოქმედებითი ცოცხალი აზროვნების პროცესი იყოს გაცოცხლებული, რომლის მინელების საფრთხე გაჩნდა მას მერე, რაც ყველა მიმართულება

დაექვემდებარა სცენის კანონზომიერებას. მას შემდეგ, რაც ქართული საშემსრულებლო პრაქტიკა დაუბრუნდა ხალხურ ტრადიციულ აზროვნებას და ხალხური შემსრულებლობის პრინციპებს, მას შემდეგ წამოვიდა წინა პლანზე, ის თავისებურებები, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს ქართული ხალხური ტრადიციული შემსრულებლობის და გალობის ცოცხალ ყოფაში აღდგენა/გაჟღერებაში. ვინაიდან, როგორც არ შეიძლება დედაენა იყოს დავიწყებული, ასევე არ შეიძლება იყოს ქართული ტრადიციული მუსიკალური აზოვროვნება, ჩვენი მუსიკალური დედა ენა, დაზიანებული და ბარბარიზმებით დაბინძურებული, განაცხადა მან. მას ასევე მიაჩნია, რომ ყოველივე აღნიშნულს ემსახურება ახალი პროგრამა და იმედი აქვს, რომ ის ადამიანები, რომლებიც პროგრამის სათავეში და მის გარშემო არიან, მოახერხებენ ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელებას. მას ასევე მიაჩნია, რომ პროგრამის მიზანი იქნება მიღწეული, თუკი ეს საქმე იქნება ხელშეწყობილი. მისი აზრით, ქართული ტრადიციული მუსიკალური აზროვნება აღდგება და დამკვიდრდება თანდათან იმ მიმართულებით, რაც წინაპრებისგან იქნა გადმოცემული. ასევე მან გამოთქვა მზაობა, კითხვების არსებობის შემთხვევაში ეპასუხა მათ.

მოწვეული ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ლეილა მარუაშვილი მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა, ,,ქართული ტრადიციული მუსიკა'' ეფუძნება აკრედიტაციის სტანდარტებს. ახალი საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, რაც დასაშვებია ხელოვნების დარგის პროგრამებისთვის. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან. დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით, კერძოდ: შიდა შესარჩევი შემოქმედებითი ტურის ფარგლებში, აბიტურიენტმა მხოლოდ ზეპირ ფორმატში, რამოდენიმე მოსმენის შედეგად უნდა იმღეროს სამხმიანი სიმღერის ცალკეული ხმა. გამოცდა არ გულისხმობს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შემოწმებას, რაც მისი აზრით, ვერ უზრუნველყოფს მომავალში მუსიკის და, რაც მთავარია, ტრადიციული საშემსრულებლო ხელოვნების დარგობრივ მახასიათებლებში მოყვანილი ბაკალავრიატის საფეხურისთვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. ასეთი, გამარტივებული მოთხოვნის პირობებში სავსებით მოსალოდნელია, რომ აბიტურიენტს არ ექნება დაწყებითი მუსიკალური განათლება, არ ეცოდინება მუსიკალური გრამატიკა და ა.შ. მეტიც, პროგრამის წინაპირობა ვერ უზრუნვლეყოფს თვით პროგრამაში მოყვანილი, მოსალოდნელი შედეგების მიღწევას. რთულად წარმოსადგენია, რომ აღნიშნული მინიმალური მრავალხმიანი სიმღერის/საგალობლების შესრულება, თეორიული ანალიზის გაკეთება, ექსპედიციაში მოპოვებული მასალების გაშიფრვა განუხორციელებელი გახდება. მით უფრო როდესაც კურიკულუმში მან ვერ მოიძია სასწავლო კურსი, რომელიც ემსახურება სიმღერების გაშიფვრას. შემდეგი რეკომენდაცია, უკავშირდება პროგრამის მიზნებში მოყვანილ დაპირებას, რომ ,,კურსდამთავრებული თავადაც შეძლებს, საშემსრულებლო კოლექტივის ჩამოყალიბებასა და სწავლებას, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ''. მან აღნიშნა, რომ საშემსრულებლო კოლექტივის ჩამოყალიბებისთვის, გარდა იმ ცოდნისა და პრაქტიკული უნარებისა, რასაც პროგრამის შემადგენლების აზრით უზრუნევლყოფს პროგრამა, საჭიროა ერთი კომპეტენციის გამომუშავება რომელიც უკავშირდება, საშემსრულებლო კოლექტივის მენეჯმენტს, მართვის ცოდნას, სარეპეტიციო პროცესის წარმართვის პრაქტიკას, გარდა ამისა, კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეს გავლილი ტრადიციული მუსიკის დირიჟორობის პრაქტიკუმიც. მხოლოდ სწავლების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები უნდა იყოს დაცული, მითუმეტეს თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოუწევს მუშაობა. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო გეგმას დაემატოს, ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა ,,ხალხური სიმღერის სწავლების მეთოდიკა'', ,,პედაგოგიური პრაქტიკა'', ,,ტრადიციული ხელოვნების დიდაქტიკა'' და ასევე მიაჩნია, რომ აუცილებელია დაინერგოს სასწავლო კურსი ,,მუსიკალური აღქმის ფსიქოლოგია''. რაც შეეხება კრედიტების გადანაწილების საკითხს, მიაჩნია რომ, სემესტრების რაოდენობა და მათი თანაფარდობა, ხშირად არ ხასიათდება რეალისტურობით და

წონასწორობით. ხელოვნურად გაზრდილია სასწავლო კურსებისთვის, მოდულებისთვის განკუთვნილი სემესტრების რაოდენობა, ან პირიქით. მაგალითად, პროგრამის მიზნებისთვის მეტად მნიშვნელოვანი საგანი, ,,გალობის ისტორია და თეორია'' წარმოდგენილია მხოლოდ ერთ სემესტრში, რაც საგნის სიღრმისეული შესწავლისთვის არასაკმარისია. იგივე შეიძლება ითქვას ,,მუსიკის ელემენტარული თეორიისა და სოლფეჯიოს'' შესახებ, რადგანაც სემესტრებისა და საათების რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს, სხვადასხვა ტიპის მელოდიური, ჰარმონიული, პოლიფონიური სმენის სათანადო განვითარებასა და იმ შედეგების მიღწევას, რომელიც საჭიროა ქართული ტრადიციული, მრავალხმიანი მუსიკის შესრულებისთვის. ასევე, მასალებში არ იძებნებოდა ,,დაოსტატება ტრადიციულ გარემოში'' კურსის სილაბუსი და, ასევე, ,,საკვალიფიკაციო ნაშრომი''. მან, ასევე, აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა მიზნად ისახავს ტრადიციული მუსიკის შემსრულებლის მომზადებას, მიაჩნია, რომ პროგრამაში მიზანშეწონილია, ისეთი სასწავლო კურსის არსებობა, როგორიცაა ,,საგუნდო კლასი''. შესაძლებელია ინტეგრირებული იყოს, პროგრამაში წარმოდგენილ საგნებში, თუმცა მიაჩნია, რომ კურსდამთავრებულის კომპეტენციისთვის მიზანშეწონილია არსებობდეს მსგავსი კურსი. ასევე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა ადამიანური რესურსების საკითხზე და აღნიშნა, რომ პროგრამას ახორციელებდა ქართულ ტრადიციულ საშემსრულებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. თუმცა, პირადი საქმეების ანალიზის შედეგად მიაჩნია, რომ პრობლემაა პროგრამისთვის, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდებოდა, რომ ძირითადი სასწავლო კურსის განმახორციელებელნი იყვნენ მოწვეული პერსონალი. ერთ-ერთ განმახორციელებელს და პროგრამის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ჰქონდა ბაკალავრის კვალიფიკაცია. გარდა ამისა, ინფორმაცია პერსონალის შესახებ ხშირად არ ემთხვეოდა, იმ ინფორმაციას რომელიც მოცემული იყო სემესტრული დატვირთვის დოკუმენტში. მან, ასევე, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი არ იყო ანალოგ პროგრამებთან დადარების დოკუმენტი, რის შედეგადაც სხვა დაწესებულებებში არსებული პრაქტიკის გაუზიარებლობის გამო მიაჩნია, რომ თვითშეფასებაში მოყვანილი დასკვნა, რომ საქართველოში არ არსებობს მსგავსი პროგრამა, არასწორია, ვინაიდან მსგავსი პროგრამებიც და არაიდენტურიც, ხორციელდება რამოდენიმე უნივერსიტეტში.

მოწვეულმა ექსპერტმა ნანა ვალიშვილმა დამატებით აღნიშნა მისაღები გამოცდის შესარჩევ ტურთან დაკავშირებით, მას მიაჩნია, რომ შემოქმედებით ტურში მხოლოდ უცნობი სიმღერების მიწოდებით აბიტურიენტის უნარების განსაზღვრა, მკაცრი შეფასებაა. აბიტურიენტს უნდა ჰქონდეს საშუალება მის მიერ შერჩეული რამდენიმე სიმღერიდან და ასევე კომისიის არჩევით შესრულება. ასევე, მიაჩნია, რომ მუსიკალური უნარების შემოწმება, იმდენად რამდენადაც ეს ხალხური სიმღერის გაგებასა და გადმოცემას ეხება, უზრუნველყოფილია. რაც შეეხება ბაკალავრიატის საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხს, აღნიშნა, რომ მოცემული საფეხურისთვის ზედმეტად მკაცრია, ვინაიდან მიაჩნია, რომ მაგისტრატურის საფეხურზე შესაძლებელია იყოს საკვალიფიკაციო ნაშრომზე მითითება. რაც შეეხება, სასწავლო პროცესს, გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ თამაშობების ძირითად კურსში ჩართვა არც კი მოხერხდა. მას მიაჩნია, რომ წარმოდგენილია, არჩევითი და ძირითადი საგნები, რომლებიც შესაძლებელია გადანაწილდეს და თანმიმდევრულად ჩამოყალიბდეს. რაც შეეხება ,,რუსულ ოკუპაციას საქართველოში'' შესაძლებელია ეს სასწავლო კურსი დარჩენილიყო კიდეც, თუმცა რადგან სპეციფიური იყო შინაარსობრივად, არ იქნებოდა ცუდი, თუ კი ყურადღება გამახვილდებოდა, იმ უარყოფით პროცესებზე, რომელიც მოიტანა რუსულმა ოკუპაციამ ქართული ტრადიციული კულტურის, ერის, გალობის და ა.შ. მიმართულებით. ასევე, პროგრამისთვის სასარგებლო იქნებოდა, საგნებისთვის განკუთვნილი დროისა და კრედიტების გამოყენება ისეთ საგნებში, როგორიც არის ,,ფოლკორისტიკის ზოგადი კურსი'' და სხვ. ასევე, კარგი იქნებოდა საგანი ,,ქრისტიანული ხელოვნების ისტორია'' და ა.შ. რაც ტრადიციული კულტურის ნაწილია. ასევე აღნიშნა, რომ მიმართულება სწავლებისა კარგი, სასარგებლო და აუცილებელია და ყურადღება გაამახვილა

ადამიანური რესურსის ნაწილზე და აღნიშნა, რომ იგი დაკომპლექტებულია დარგის პროფესიონალებით, რაც პროგრამის წარმატების საწინდარია.

დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ ორი დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა და მათი რეკომენდაციები ინსტიტუციისათვის გახდა ცნობილი ორი საათის წინ. შესაბამისად, ეს მოცემულობა სრულიად ახალი იყო, თუმცა დაწესებულებამ მიიღო და დაამუშავა იგი. აღნიშნა, რომ მოწვეულმა ექსპერტმა ნანა ვალიშვილმა სწორად შეამჩნია, ის მოტივაცია, რაც გააჩნია დაწესებულებას. აღნიშნა, რომ ინსტიტუციას აქვს ამბიცია, რომ ის ეროვნული უნივერსიტეტია და ეროვნულ საქმეს აკეთებს. რაც შეეხება საუნივერსიტეტო ძირითად საგნებს, აღნიშნა, რომ ვინაიდან ვიზიტის განხორციელების პერიოდში არ იყვნენ ჩართულები დამოუკიდებელი ექსპერტები, სწორედ ამან გამოიწვია კითხვები ამ მიმართულებით. დაწესებულებას აქვს პოლიტიკა ძირითად საუნივერსიტეტო საგნებთან მიმართებით, ბაკალავრიატის მიმართულებით არსებობს ძირითადი საგნების ჯგუფი, რომელიც სავალდებულოა ყველა ფაკულტეტზე. ,,სისტემის'' მიზანია, ისეთი კურსების მიწოდება, რომელიც თანამედროვე სამყაროსთვის ყველა პროფესიისთვის მისაღებია, მაგალითად კიბერ-უსაფრთხოება, ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ. ასევე, სტანდარტიც მოითხოვს, რომ იყოს ისეთი კურსები, რომლებიც ფართო თვალსაწიერს გაუხსნის სტუდენტებს. რაც შეეხება, უშუალოდ, ჰუმანიტარულ მიმართულებას, უნივერსიტეტის მიზნიდანაც გამოდის პროგრამა, ეს ეხება ჰუმანურ და ეროვნული საკითხებს. რაც შეეხება "რუსული ოკუპაციის" კურსს, მთელი საკითხები დათმობილია, რუსეთის შემოჭრის დღიდან, ყველა მიმართულებით როგორ აისახა ოკუპაციური მიდგომები. რაც შეეხება ლეილა მარუაშვილის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს, აღნიშნა, რომ იყო შვიდი რეკომენდაცია, თუმცა, შეფასების დასაწყისი ნეგატიური იყო. მიიჩნევს, რომ პროგრამა უნიკალურია, რადგანაც მასში წარმოდგენილია ორი კომპონენტი ,,დაოსტატება ტრადიციულ გარემოში'' და ,,საექსპედიციო პრაქტიკა'', რაც უკვე ქმნის მის უნიკალურობას. რაც შეეხება, გარკვეული დოკუმენტაციის წარუდგენლობის საკითხს, აღნიშნა, რომ ნამდვილად დაწესებულებად დროულად წარმოადგინა ყველა კურსის სილაბუსი, ვინაიდან, ექსპერტები, თავის დროზე, ამაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. ასევე აღნიშნა, რომ მისთვის ახალია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რომელიმე პროგრამის ხელმძღვანელი არის ბაკალავრის ხარისხის მქონე. ვინაიდან, სწორედ აკადემიური პერსონალი დაწესებულების ძლიერ მხარეს წარმოადგენს. შესაბამისად, ითხოვა აღნიშნულ საკითხის განმარტება მოწვეული ექსპერტის მხრიდან. რაც შეეხება პროგრამის მიზნებს, აღნიშნა, რომ ექსპერტის მხრიდან წარმოდგენილი იყო შეფასებები. შესაბამისად, მიიჩნია, რომ პროგრამის მიზანი არის პროგრამის ხელმძღვანელების შეხედულება, თუნდაც დირიჟორობის სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამის შექმნის დროს ყველაზე დიდი დრო დაეთმო, კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხს. აღნიშნა, რომ თუ კი იქმნება ეროვნული პროგრამა, რომლის მიზანია ტრადიციული მუსიკის გადარჩენა, და პროგრამის ხელმძღვანებელი უთითებენ თუ რა არის სწორი მიმართულება ამ გზით, სწორედ მიზანში ისახება ის კომპეტენცია, რომელიც არის განპირობებული კურსებით და სწავლის შედეგებით. რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10-მდე აკადემიური პერსონალი. დარგობრივი მახასიათებელი თავად გამოთქვამს მწუხარებას იმასთან დაკავშირებით, რომ ბევრი აკადემიუირ პერსონალი არ არის ამ მიმართულებით, და უთითებს, რომ თავად დაწესებულებას შეუძლია განახორციელოს მოწვეული სპეციალისტების ჩართვა პროგრამაში. ამის მიუხედავად, დაწესებლებამ, უზრუნველყო ძალიან მნიშვნელოვანი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის ჩართვა. ამასთან ერთად, მიმდინარეობდა მუშაობა და ახალი აკადემიური პერსონალის მოძიება, რისი მტკიცებულებებიც არსებობდა. შესაბამისად, მიაჩნია გაუმართლებლად მოწვეული ექსპერტის ლეილა მარუაშვილის შეფასება.

ექსპერტმა ნანა ვალიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართულ მოწვეულ სპეციალისტებს შესაძლებელია არ ჰქონდეთ კონკრეტული აკადემიური ხარისხი, თუმცა მუსიკის დარგობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე პერსონალის საკვალიფიკაციაო მოთხოვნების მიხედვით, პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფა შეუძლიათ როგორც შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიურ პერსონალს, ასევე სათანადო კომპეტენციებისა და გამოცდილების მქონე მოწვეულ სპეციალისტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მალხაზ ერქვანიძემ აღნიშნა, რომ, ზოგადად, დაწესებულებაში მიღების სტანდარტი, თუნდაც კონსერვატორიაში, შეიცვალა, რაც განპირობებულია ახალი ნაკადითა და შესაბამისი მოთხოვნებით. ის, რომ ნოტების სწავლის გარეშე სტუდენტი პროგრამით დასახულ შედეგებს ვერ მიაღწევს მიუღებელი პოზიციაა მათთვის. რაც შეეხება გაშიფვრის საკითხს, ჩამოყალიბებულია მეთოდი, რომლის დროსაც, ადამიანი, როდესაც ჰანგს სწავლობს, მყისიერად ახდენს სამ ხმაში ინტონირებას და ინტეგრირებულად მღერას, რაც გარკვეული პრაქტიკის შემდეგ ხდება. შესაბამისად, როდესაც ისწავლება ჰანგი, იმავდროულად ხდება ჰანგის ნემირება და ნოტებში ჩაწერა. სწორედ ეს არის პროგრამის უნიკალურობა, ვინაიდან ხდება ამ საუკუნოვანი მეთოდის აღდგენა. მან აღნიშნა რომ, მაგალითად ანტონ დუმბაძემ ნოტებიდან კითხვა არ იცოდა, თუმცა იყო სრული მგალობელი და ზეპირად შეეძლო 4000 საგალობლის გალობა. ასევე ხაზი გაუსვა, რომ პროგრამის მიზანია, ევროპული მუსიკალური ტრადიციის საპირწონედ ქართული მუსიკალური ტრადიციული სისტემის აღდგენა. ასევე, მიმდინარე წელს გაიხსნება მუსკილაური სკოლა, სადაც ბავშვები აღიზრდებიან სწორედ ამ მიმართულებით და განავითარებენ საჭირო უნარ-ჩვევებს. შესაბამისი, ინდივიდუალური უნარ-ჩვევებისა თუ დაოსტატების ნიადაგზე, კურსდამთავრებულს შეუძლია გუნდის ჩამოყალიბებაც. თუმცა უფრო შორს სურს პროგრამას წასვლა და სამაგისტრო-სადოქტორო საფეხურების დამატება, რისი მიზანია, სრული ცოდნის მქონე კადრების ჩამოყალიბება, რომელიც უნიკალურ ხელოვნებას შეინახავს ათწლეულების და ასწლეულების განმავლობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ოთარ კაპანაძემ აღნიშნა, რომ დამოუკიდებელი ექსპერტი ლეილა მარუაშვილი აღნიშნავს, რომ ცალკე კურსად არ არის ხალხური სიმღერის გაშიფვრა, თუმცა ის ინტეგრირებულია სხვადასხვა კურს ში, რომელიც მეორე სემესტრიდან იწყება. შესაბამისად, გალობის გაშიფვრასაც სწავლობს, სიმღერასაც და საკრავიან ჰანგებსაც. ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტის მხრიდან იყო აქცენტი გაკეთებული მიღების წინაპირობების სიმარტივეზე, რაც შესაძლებელია გახდეს შედეგზე ვერ გასვლის საფუძველი. ოთარ კაპანაძემ აღნიშნა, რომ მსგავი რამ არ უთქვამს აკრედიტაციის არც ერთ ექსპერტს და არც დარგის სპეციალისტს, რაც არ იქნება გაზიარებული დაწესებულების მხირდან. ექსპერტის მხრიდან გაცემულ იქნა რეკომენდაცია ხმებში სიმღერასთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელია იყოს გაზიარებული. სწორედ ამ მიზნით არის ერთი შეხედვით მარტივი ტური, რომლის ფარგლებში შესაძლებელია მრავალი ფაქტორის დადგენა, რომ პროგრმაზე მოიზიდებიან სწორედ ის ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ მუსიკალური განათლება, თუმცა საშემსრულებო უნარები გააჩნიათ.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა კონსერვატორიის პროგრამების შესახებ და სწავლების მიდგომების შესახებ, და რა საკითხები უნდა ყოფილიყო გამოსწორებული.
გიორგი უშიკიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა მიმართულებები რაც პროგრამით იყო გათვალისწიებული, მაგრამ რთული იყო მიღების საკითხი, ვინაიდან შესაძლოა აპლიკანტს ჰქონოდა პრაქტიკული გამოცდილება ხალხური მუსიკისა, თუმცა სოლფეჯიოში კარნახის დაუწერლობის გამო ვერ იქნას მიღებული პროგრამაზე. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული ტური, სწორედ ემსახურება იმას, რომ პროგრამაზე სწავლა დაიწყონ

ადამიანებმა, რომლებიც არიან შეყვარებულები ხალხურ მუსიკაზე, და შემდეგ ის, რაც სჭირდებათ იმისათვის, რომ შედეგებზე გავიდნენ, მათი სწავლება განხორციელდეს შემდგომ უნივერსიტეტში.

მოწვეული წევრის ლეილა მარუაშვილის მოსაზრებით ხელოვნურად გაზრდილი კრედიტების განაწილებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა ოთარ კაპანაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტს არ აქვს მითითებული თუ რომელ სასწავლო კურსზეა საუბარი, ვინაიდან იმდენად დატვირთული კურსებია, რომ გადაიხედოს სილაბუსებში საათებზე, შესაძლებელია მეტი კრედიტიც მიენიჭოს. ასევე აღნიშნა, რომ არ იზიარებენ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ გალობის ისტორია და თეორია ორსემესტრიანი საგანია და უნდა ისწავლებოდეს ორ სემესტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგზე გასვლა იქნება პრობლემა, არ იზიარებს დაწესებულება აღნიშნულ პოზიციას, ვინაიდან აღნიშნული არის თეორიული საგანი, ხოლო წარმოდგენილი პროგრამა პრაქტიკაზეა ორიენტირებული. ასევე ,,მუსიკის ელემენტარული თეორია და სოლფეჯიო'' დადაგენილ საათებში ვერ ისწავლება. მიაჩნია, რომ პროგრამა ინტეგრირებულ სწავლებაზეა ორიენტირებული. ასევე, სიმღერის მრავალხმიანობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია გუნდის საკითხის გავლა, აღნიშნულსაც არ ეთანხება დაწესებულება. მან ასევე აღნიშნა, რომ ხალხური სიმღერის საკმაოდ დიდი ნაწილი სილაბუსებისა, ეთმობა ერთხმიანობას, ასევე ანსამბლური სწავლება ბუნებრივად ინტეგრირებულია პროგრამაში. ასევე უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ანსამბლი, რომელიც ჩართული იქნება პროგრამის განხორციელებაში. ასევე საგულისხმოა, რომ დამოუკიდებელი მუშაობის დიდი დრო აქვთ სტუდენტებს, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენელმა თამაზ ერქვანიძემ სწავლების მეთოდთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამწლიანობა პროგრამისა განპირობებულია იმით, რომ კომპიუტერულ-ტექნიკური შესაძლებლობები იძლევა საშუალებას, რომ შევიწროვებულ ვადაში ისწავლებოდეს კონკრეტული მიმართულებები.

მოწვეულმა წევრმა ლეილა მარუაშვილმა პატივისცემა დაუდასტურა პროგრამის ხელმძღვანელებს და მის განმხორციელებ პირებს. მან აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ არის დარგის სპეციალისტი, ის, ასევე, წლების განმავლობაში მას ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მუშაობის გამოცდილება. შესაბამისად, სრული ინფორმაცია ჰქონდა დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებისა და ზოგადად ხარისხის სამსახურის საკითხების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საუბარი იყო სამ ადამიანზე, სამ ხელმძღვანელზე, ვინც შეიმუშავა პროგრამა. ასევე მისთვის კარგად ცნობილია, პროგრამის პერსონალის შესახებ. შესაბამისად, მის მიერ გაკეთებული დასკვნა ეფუძნებოდა მხოლოდ და მხოლოდ მისთვის წარდგენილ დოკუმენტაციას. შესაბამისად, მისი დასკვნა პროგრამის ერთ-ერთი განმახორციელებლის მხოლოდ საბაკალავრო კვალიფიკაციის შესახებ, სწორედ ეფუძნებოდა, მისთვის წარდგენილ დოკუმენტაციას. ასევე, მოწვეული და აკადემიური თანამშრომლების საკითხიც სწორედ დოკუმენტაციას ეფუძნებოდა. პროგრამის უნიკალურობასთან დაკავშირებით, მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ პროგრამა თავისი არსით სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ხორციელდება, შესაბამისად უნიკალური არ არის. თუმცა როდესაც ამუშავდება პრაქტიკაში, მისი უნიკალურობის საკითხიც გამოჩნდება. რაც შეეხება პროგრამის მიზნებს, სადაც აღნიშნულია, რომ კურსდამთავრებულმა შეიძლება უხელმძღვანელოს და შექმნას ანსამბლი, ასეთ შემთხვევაში, პროგრამაში უნდა არსებობდეს მხარდაჭერის გამოხატული მექანიზმები, შესაბამისი კურსები რომლებიდანაც შეისწავლიან სწორედ ამ მიმართულებას, ვინაიდან სპეციფიკური საგნებია, რომელიც კონკრეტული უნარების გამომუშავებისკენაა მიმართული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ოთარ კაპანაძემ აღნიშნა, რომ უპირველესი მიზანი პროგრამისა, არ არის სწავლება, ხელმძღვანელობა და ანსამბლის შექმნა, რაზედაც აპელირება

ხდება ექსპერტების მხრიდან, შესაბამისად თუკი ეს ჩანაწერი იყო გაუგებარი, რომელიც კითხვის ნიშნებს აჩენდა, შესაძლებელი იყო რომ კორექტირება მომხდარიყო. თუმცა, ასევე აღნიშნა, რომ იმდენად დიდი ცოდნა ექნება კურსდამთავრებულს, რომ სურვილის შემთხვევაში შეძლებს საკუთარი გუნდის ჩამოყალიბებას.

მოწვეულმა ექსპერტმა ლეილა მარუაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ კარგი მიგნებაა პროგრამის განამხორციელებლების მიერ, რომ ტურის არსებობა აუცილებელია, მაგრამ ერთი სიმღერა, რომელიც გაჟღერებული იქნება, არ არის საკმარისი მიღების წინაპირობისთვის, ვინაიდან ამგვარი წინაპირობა შესაძლებელია წამოყენებული იყოს მუსიკალურ სკოლაში მიღებისათვის. ამგვარი წინაპირობის შემთხვევაში არ ხდება ცოდნის შემოწმება და გამორიცხული არ არის, რომ არ იცოდეს ნოტების წერა. ისიც შესაძლებელია, რომ თეორიული ცოდნის გარეშე იქნას მიღებული სტუდენტი, თუმცა უნდა მოხდეს მისთვის შემდგომ თეორიის შესწავლა. ასევე ყურადღება გასამახვილებელია გამოცხადებული ადგილების რაოდენობასა და მსურველი აპლიკანტების რაოდენობაზე, ვინაიდან გუნდური მუშაობის შესაძლებლობა იყოს კურსზე, ვინაიდან სპეციფიკა პროგრამისა მოიცავს რომ საგუნდო მუშობა განხორციელდეს. მიაჩნია, რომ საგნებში, როგორიც არის ხალხური სიმღერა, გალობა და ინსტუმენტებზე დაკვრა, გათვალისწინებული უნდა იყოს ის მოცემულობა, რომ თუ კი კურსზე არ იქნება სტუდენტების დიდი რაოდენობა ასეთ შემთხვევაში, როგორ განხორციელდება სწავლება?

ცენტრის წარმომადგენელმა ქეთევან ინანაშვილმა აღნიშნა, რომ მოწვეული ექსპერტების მიზანი იყო დამატებითი კომენტარები გააკეთონ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, თავიანთი პროფესიონალური გამოცდილების შესაბამისად. კითხვების შემთხვევაში კი, დამატებითი განმარტებები გააკეთონ. ასევე, მადლობა გადაუხადა მოწვეულ ექსპერტებს გაწეული შრომისათვის. ასევე განმარტა, რომ ლეილა მარუაშვილი მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატორიის პროფესორია, ამ შემთხვევაში არ წარმოადგენდა კონსერვატორიას, არამედ დამოუკიდებელი პროფესიონალი იყო, რომელიც დამოუკიდებელ შეფასებას ახორციელებდა. შესაბამისად, დაწესებულების მიერ პროგრამის კონსერვატორიის პროგრამებთან შედარება, და იმ საკითხებზე აპლეირება, რა არ არის კონსერვატორიაში სათანადო დონეზე წარმოდგენილი, არ იყო რელევანტური განსახილველი საკითხის მიმართ.

დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ პატივს სცემს ლეილა მარუაშვილს. ყურადღება გაამახილა რეკომენდაციის მეორე ნაწილზე, სადაც აღნიშნა, რომ პირდაპირ უარყოფით კონტექსტში პროგრამის განხილვა მიაჩნია არაობიექტურად. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, იგულისხმება, რომ ის უნდა იყოს დასაბუთებული და არგუმენტირებული. ასევე, მიაჩნია, რომ თუკი რაიმე დოკუმენტები არ ჰქონდა დამოუკიდებელ ექსპერტს მას უნდა მოეთხოვა, ვინაიდან საბჭოს სხდომაზე არ უნდა ხდებოდეს ამის მოკვლევა და მტკიცებულებების ნაკლებობა არ უნდა იყოს არასწორი დასკვნის საფუძველი. ასევე, არ ეთანხმება ლეილა მარუაშვილის შეხედულებას, რომ თუ კი დაინახა პროგრამაში ხარვეზი, იგი ამაზე თვალს ვერ დახუჭავდა. მიაჩნია, რომ ის ექსპერტები, რომლებიც აფასებდნენ პროგრამას, იყვნენ სრულიად კვალიფიციურები და, შესაბამისად, მისთვის გაუგებარია თუ რატომ გახდა საჭირო დამატებითი ექსპერტების ჩართვა. მისთვის ასევე გაუგებარია, თუ რა დამატებითი ინფორმაცია მიეწოდა საბჭოს ან ცენტრს. შესაბამისად, მას გაუჩნდა გარკვეული კითხვები. როდესაც საუბარია აკადემიური პერსონალის შესახებ, წარმოდგენილ ინფორმაციაში უფრო მეტი სიზუსტეა, ვიდრე დამოუკიდებელი ექსპერტის ლეილა მარუაშვილის საუბარსა და მის მიერ გაცემულ რეკომენდაციებში. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც უშუალოდ დარგის სპეციალისტები არიან ხაზს უსვამენ, რომ სადირიჟორო სწავლება არის არქაული გადმონაშთი და თანამედროვე სწავლების მიზნებისთვის მიზანშეუწონელია, პროგრამის შემფასებელი ექსპერტები დადებით დასკვნას გასცემენ ამ მიმართულებით, ხოლო ერთ-ერთი დამოუკიდებელი ექსპერტი დაწესებულების

მოსაზრებით, სუბიექტურად თვლის, რომ დირიჟორობა უნდა ისწავლებოდეს აუცილებლად. ასევე, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნა, რომელსაც ეთანხმებიან ექსპერტები და ასევე, ერთ-ერთი მოწვეული ექსპერტი, რატომღაც არ იყო გაზიარებული მოწვეული ექსპერტის, ლეილა მარუაშვილის მიერ. მან ასევე აღნიშნა, რომ შესაძლოა ცალკეული კურსები არ არსებობდეს თუმცა ინტეგრირებული იყოს სხვადასხვა კურსებში და პრაქტიკაში ხორციელდებოდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ, არსებობის შემთხვევაში, კითხვები და მოსაზრებები.

საბჭოს წევრი ქეთევან აფთარაშვილი მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს. მას კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან. მან ყურადღება გაამახვილა დასკვნაში არსებულ ჩანაწერზე, რომ ,,პროგრამის შინაარსი, კრედიტების მოცულობა და სირთულე არ შეესაბამება საფეხურს და მიზნებს'' ასევე, გაცემულია რეკომენდაცია ,,გადაიხედოს სწავლის შედეგები, რათა უკეთ აისახოს, როგორ მიიღწევა პროგრამის მიზანი'' მას ექსპერტებისგან აინტერესებდა თუ რას გულისხმობდნენ აღნიშნულ ჩანაწერში. ასევე აინტერესებდა, დაწესებულებისგან, რატომ არ მოხდა პროგრამების ანალოგების მოძიება და ანალიზი და საერთაშორისო და ლოკალური შეფასების დოკუმენტის წარდგენა.

ექსპერტმა რუსუდან თაყაიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების დამოკიდებულება პროგრამის მიმართ დადებითია. არის ბევრი სხვადასხვა ტიპის რეკომენდაცია, რაც ბუნებრივია, ვინაიდან პროგრამა ახალია და უნდა გაიაროს განვითარების ეტაპები. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაისვა კითხვები, ასევე პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და არგუმენტირებული პასუხები იყო მიღებული დაწესებულების მხრიდან. მას არ ახსოვს თუ რამ განაპირობა აღნიშნული ჩანაწერის დასკვნაში არსებობა. საერთო ხედვა პროგრამის შესახებ დადებითია და ზემოაღნიშნული დასკვნის შინაარსი ექსპერტების საერთო ხედვას პროგრამის მიმართ არ შეესაბამება.

ექსპერტმა ნინო ტალიკაძემ აღნიშნა, რომ მან გასცა რეკომენდაცია პროგრამების დადარების საკითხთან დაკავშირებით, ვიზიტისას ხშირად იყო აღნიშვნები ჰიპოთეტურად საკითხის ირგვლივ, რომ სამომავლოდ კონკრეტული მოვლენა განხორციელდებოდა ან ა.შ. რადგანაც ექსპერტებს არ ჰქონდათ ხელშესახები დოკუმენტაცია ამ საკითხთან მიმართებით, ამიტომაც იქნა გაცემული ზემოხსენებული რეკომენდაცია პროგრამის დადარების კვლევასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა თამარ ძველაიამ აღნიშნა, რომ დასკვნის შედგენისას ხელმძღვანელობდა ადამიანური პერსონალის ნაწილით. შესაბამისად, თავდაპირველად იყო რეკომენდაცია, რომელიც შემდგომ მოიხსნა. ვინაიდან ჩანდა პროგრამის სამი ხელმძღვანელი და არც ერთი არ იყო აფილირებული უნივერსიტეტთან, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ, მალხაზ ერქვანია აყვანილი იყო აკადემიურ პერსონალად და გახდა აფილირებული. ამ ეტაპზე პროგრამა გაჯერებულია მოწვეული ლექტორებით, მაგრამ მიაჩნია, რომ პროგრამის დიდი პლიუსია, რომ პროგრამა ხორციელდება იმ უნივერსიტეტში, რომელსაც აქვს ძალიან კარგი რესურსი, ბიბლიოთეკა, შენობა, სტუდენტების თავისუფალი მოსასვენებლი სივრცეები და სხვ. შესაბამისად, მიაჩნია, რომ სტუდენტები, რომლებიც სწავლას დაიწყებენ ძალიან კარგ გარემოში ძალიან კარგ ცოდნას მიიღებენ. რაც შეეხება მიზნების ნაწილში ჩანაწერს, მან აღნიშნა, რომ ექსპერტები შეჯერებულნი იყვნენ პოზიციის ჩამოყალიბებისას, როდესაც დასკვნა გამზადდა, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ დასკვნის საბოლოო ვერსიაში გაკეთდა დამატებითი კომენტარები. იყო შემთხვევა, როდესაც მის ნაწილში დასკვნის საბოლოო ვერსიაში იყო ჩამატებული გარკვეული კომენტარები, რომელიც შემდგომ ამოღებულ იქნა მის მიერ, ვინაიდან მიაჩნდა, რომ მას უნდა დაეცვა მისი პოზიცია სტანდარტთან მიმართებით. შესაბამისად,

შესაძლებელია, რომ მიზანში ჩანაწერი, რომელიც განხილვის საგანი გახდა, ყოფილიყო დასკვნის საბოლოო ვერსიაში თავმჯდომარის მიერ ჩამატებული.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ მსგავსი ჩანაწერი არ ახსენდებოდა, რეკომენდაციაში მსგავსი მითითებული არ იყო. ასევე საკითხავია შესაბამისობასთან მიმართებით, ვინაიდან ინდიკატორი არსებობს შეფასებისა. შესაბამისად, მისთვის გაუგებარია თუ არასახარბიელო, შინაარსობრივად მიუღებელი იყო, ეს უნდა ასახულიყო შეფასებაშიც, რაც დასკვნაში არ იყო. ასევე საგულისხმოა, რომ პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით იყო კითხვები, რომლებზეც დაწესებულებას ჰქონდა თავისი არგუმენტაცია თუ რატომ აირჩია სამწლიანი პროგრამა. შესაბამისად, მიაჩნია რომ სწორად ამას მოჰყვა რეკომენდაცია შედეგების გაფართოებისა და საგნების ინტეგრირების საკითხთან დაკავშირებით, როდესაც ინსტიტუციის მხრიდან გათვალისწინებულ იქნა დასკვნის პროექტის ჩაბარების შემდეგ რეკომენდაციები, რომელმაც განაპირობა გარკვეული მოდიფიკაცია შედეგებთან მიმართებით. რაც შეეხება ანალოგ პროგრამებს, მან აღნიშნა, რომ ცალკე დოკუმენტად წარმოდგენილი არ არის, ვინაიდან თვთშეფასების ანგარიშში აღწერილობით ნაწილში აღწერის დონეზე აღიწერა, თუ რა დადარება მოხდა ადგილობრივ და ასევე საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. აღნიშნული მიმართულების არჩევის საფუძველი გახდა ის, რომ წარმოდგენილი პროგრამა განსხვავდება იმ პროგრამებისაგან რომელიც ხორციელდება, თუნდაც კვალიფიკაციის ნაწილში. მისი აზრით, პროგრამა უნიკალურია, ვინაიდან არის სწორედ ის ორი კურსი ჩადებული რომელიც მხოლოდ დაწესებულებაში ამ პროგრამაზე ისწავლება. ასევე საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტი აპირებს ინვესტიციების ჩადებას ამ მიმართულებით, ვინაიდან პროგრამით გათვალისიწნებული ექსპედიციები ქვეყნის მასშტაბით არის დაგეგმილი და ამას საკმაოდ დიდი ფინანსები სჭირდება.

საბჭოს წევრი ქეთევან ნანობაშვილი მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს. მას კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან მიზნის იმ ნაწილთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ ,,თავად შეძლებს საშემსრულებო კოლექტივის ჩამოყალიბებასა და სწავლებას, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ''. მან აღნიშნა, რომ როდესაც ახალი პროგრამის შედგენა იგეგმება აუცილებელია ბაზრის კვლევა. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ბაზრის კვლევაში, პროგრამის დასახულ მიზანთან მიმართებაში არ არის ნაჩვენები შედეგები. მათ შორის ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრის შედეგებშიც არ ჩანს კოლექტივის ჩამოყალიბებისა და სწავლების საკითხები, ძირითადად აქცენტი გაკეთებულია საშემსრულებლო მიმართულებით. ვინაიდან, მიზანი ლოგიკურ კავშირშია პროგრამის სწავლის შედეგებთან და იგი, თავის მხრივ, კავშირშია საგნებთან, მას აინტერესებდა თუ რომელი საგანია მოაზრებული პროგრამის მიზნისაკენ მიმართულად კოლექტივის ჩამოყალიბებისა და სწავლების ნაწილში.

პროგრამის ხელმძღვანელმა ოთარ კაპანაძემ აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ჩანაწერი არის პროგრამის ბოლო აბზაცში, აბზაცი სულ ხუთია. მან აღნიშნა, რომ ზემოხსენებული არ არის აუცილებელი და მთავარი მიზანი პროგრამისა. ასევე ხაზი გაუსვა, რომ მიზნებში წერია, რომ ,,კურსდამთავრებული შეძლებს''... ვინაიდან, იმდენად დიდი ცოდნა და კომპეტენცია ექნება ტრადიციული მუსიკისა. მას ეცოდინება ყველა კუთხის სხვადასხვა ხმა, გალობა სხვადასხვა ჟანრის, მუსიკალურ საკრავებზე დაკვრა. ასევე, მნიშვნელოვანი გარემოებაა ექსპედიციები, რომელიც თავისი არსით უდიდესი გამოცდილების მომტანია, რაც არ ისწავლება უნივერსიტეტის კედლებში. ასევე დიდი გამოცდილება ექნება გაკვეთილებზე მუზიცირებისა. საგულისხმოა, რომ უნივერისტეტში მოქმედებს ანსამბლი, რომელიც დამატებით კიდევ ერთი შესაძლებლობაა პრაქტიკისა. შესაბამისად, ყოველივე ეს მისცემს სტუდენტს შესაძლებლობას, სურვილის შემთხვევაში, თავად შექმნას ანსამბლი. გიორგი უშიკიშვილმა აღნიშნა, რომ ანსამბლის ხელმძღვანელი ხალხური მუსიკის შემთხვევაში, შესაძლებელია იყოს, ადამიანი,

რომელიც თავად შემსრულებელია და იკრებს შემსრულებელების გარკვეულ რაოდენობას და აყალიბებს გუნდს. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ლოტბარს არ ზრდის პროგრამა, ვინაიდან იზრდება შემსრულებელი, თუმცა პროგრამის შინაარსი შედეგების თვალსაზრისით გადის აღნიშნულ საკითხზეც.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ვლადიმერ ადეიშვილმა.

თამაზ ერქვანიძემ აღნიშნა, რომ დაოსტატება არაოფიციალურად გაიარა ხალხური სიმღერის ოსტატებთან, რომლებთან ურთიერთობა თავად სკოლას უდრიდა. შესაბამისად, მათთან ურთიერთბით და დაგროვილი იმ საშემსრულებლო პრაქტიკიდან რაც მას აქვს, მოახერხა გუნდების შეკრება და ჩამოყალიბება, მაგ., ანჩისხატის ტაძრის გუნდი, ფოლკლორული ანსამბლი, მამა დავითის ტაძრის გუნდი, გამოცემული აქვს 15-მდე საეკლესიო კრებული და ა.შ. შესაბამისად, შეგირდისა და ოსტატის მსგავსად მასწავლებელთან ურთიერთობა, თავად სწავლებაა და სკოლა გარკვეული მიმართულებით.

საბჭოს წევრს თამარ ზარანდიას დამაზუსტებელი შეკითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რა მეთოდოლოგიით იყო ჩატარებული კვლევა და, ასევე, ექსპერტთა ჯგუფისაგან აინტერესებდა, ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით როგორი თანაფარდობა იყო მოწვეული და აკადემიური პერსონალისა.

ექსპერტმა რუსუდან თაყაიშვილმა აღნიშნა, რომ როგორც მისთვის ცნობილია, პროგრამის სამივე ხელმძღვანელი ამ ეტაპისთვის უკვე იყო აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტისა. სრული თანაფარდობა არ ახსოვს პროგრამაში ჩართული პერსონალისა. თამარ ძველაიამ დაამატა, რომ ძირითადი ბლოკის საგნების განმახორციელებლები აფილირებული პროფესორები იყვნენ, მუსიკალურ ნაწილში იყო პრობლება, ვიზიტის დროს არ იყვნენ აფილირებულები, ხოლო ეხლა უკვე არის ორი აფილირებული პროფესორი. ასევე აღნიშნა, რომ პერსპექტივა არის ზრდის და კარიერული წინსვლისთვის.

სტუდენტმა ექსპერტმა ნინო ტალიკაძემ აღნიშნა, რომ თვითშეფასებაში იყო აღნიშნული, რომ პროგრამაში სულ ჩართულია 21 პერსონალი, აქედან 10 არის აკადემიური პერსონალი, ხოლო 11 არის მოწვეული, პირველადი ვერსიით.

დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ სამართლებრივად საბჭოს აქვს შესაძლებლობა მხედველობაში მიიღოს ის მოცემულობა, რაც ზეპირი მოსმენის დროს არის განხილული და ფაქტობრივი მოცემულობები, რაც განხილვის დროისთვის სახეზეა. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი არ ექნებოდა დასკვნის პროექტის ჩაბარების შემდეგ რეკომენდაციების გათვალისწინებას, ამიტომ, დაწესებულებამ გაითვალისწინა დასკვნის რეკომენდაციები. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, იმისათვის, რომ მათ აღნიშნეს გაზრდის და განვითარების ტენდენციები. რაც შეეხება ბაზრის კვლევას, მან აღნიშნა, რომ პროგრამის შექმნისას აუცილებელი მოთხოვნაა ბაზრის კვლევის არსებობა, მაგრამ ყველა პროგრამას ვინაიდან ერთნაირი საჭიროებები და მოთხოვნები არ გააჩნია, განხორციელდა პირდაპირი კომუნიკაცია კითხვარების სახით. იგივე განხორციელდა ქორეოგრაფიის პროგრამამსთან მიმართებით, რომ უშუალოდ ჩართული გუნდების პოზიციიდან გამომდინარე პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, რა კომპეტენციებს უნდა ითვალისწინებდეს მათ შორის ამასთან დაკავშირებითაც იქნა გამოკითხული. არსებითად განსასაზღვრი იყო, რომ პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონოდათ იმ ჯგუფებთან ვინც ამ მიმართულებით, უშუალოდ, არის პრაქტიკაში და მათგაან მიეღოთ პრაქტიკული გამოცდილება. ასევე საგულისხმოა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ ყოფილა შინაარსობრივ მხარეზე, რეკომენდაცია მიემართებოდა დასაქმების საკითხის გამოკვეთას და მიაჩნია, რომ უნივერსიტეტის პირველადი

მისია არ არის კურსდამთავრებულის დასაქმება, უნივერსიტეტის მისია არის სტუდენტს მისცეს, თანამედროვე აქტუალური ცოდნა, რომელიც მერე საფუძველი იქნება კურსდამთავრებულის საჭიროებების დაგეგმვისა და განსაზღვრის თვალსაზრისით.
რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, მან აღნიშნა, რომ გარკვეული კორექტირება მოხდა, ვინაიდან ექსპერტებმა დასვეს ეს საკითხი. თავიდან იყო ათამდე აკადემიური პერსონალი, თუმცა დარგობრივი/საშემსრულებლო მიმართულებითაც რომ ყოფილიყო აკადემიური პერსონალი, მიღებულ იქნა რეკომენდაცია დასკვნის პროექტის ჩაბარებამდე და, ასევე, აღინიშნა, რომ პროცესი განგრძობადი იყო და კიდევ აპირებდა დაწესებულება ახალი პირების აყვანას.

საბჭოს წევრ ქეთევან აფთარაშვილს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან, დასკვნაში რჩევების ნაწილში, ,,სასურველია, რომ სავალდებულო ლიტერატურის ნუსხა შეიცავდეს უახლოეს კვლევებს შესაბამის სფეროში, აკადემიური კურსის/საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით'' თუკი აკრედიტაციის სტანდარტი იქნება გათვალისწინებული რამდენად შეიძლება ეს ყოფილიყო რჩევა და ხომ არ საჭიროებდა დაზუსტებას?

ექსპერტმა რუსუდან თაყაიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებლები ხშირ შემთხვევში თავად არიან უახლოესი პუბლიკაციის განმახორციელებლები. მათთვის ეს სფერო აბსოლუტურად ბუნებრივია, თუმცა შესაძლებელია კიდევ იყოს წარმოდგენილი რაიმე ახალი პროგრამაში რაც ამ ეტაპზე არ არის და რჩევის გაცემაც სწორედ ამას ემსახურებოდა. მან ასევე, მადლობა გადაუხადა საბჭოს და აღნიშნა, რომ მაღალი კლასის პოლემიკაში მონაწილეობდა ორივე მხრიდან და მოულოდნელი და გასახარი იყო მოწვეული ექსპერტების ჩართვა, რაც სასარგებლო იყო პროგრამის უფრო მეტად სიღრმისეული განხილვისთვის. მართალია, არსებობს ამგვარი პროგრამები, თუმცა განსხვავდება იმით, რომ იქმნება არა ევროპული კლასიკური მუსიკის პრინციპებიდან, არამედ ეროვნული ტრადიციული შემსრულებლობის საკითხებიდან და სწორედ ეს არის ამოსავალი იქიდან, რომ არ არის გათვალისწინებული დამწერლობის ან მუსიკალური ანბანის ცოდნის საფუძვლების არსებობა. ასევე, საგულისხმოა, რომ რეგიონებიდან ელიან ძალიან ბევრ სტუდენტს. მან წარმატება უსურვა პროგრამას განხორციელებაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:31 სთ
დასრულების დრო: 18:32

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
მოწინააღმდეგე - 1

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის, მე-8 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე.

საბჭოს წევრი, ვლადიმერ ადეიშვილი შემოუერთდა საბჭოს სხდომას.

მეორე საკითხი: შპს შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტს "აიიუთი"-ის ფარმაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფარმაცია
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაციის ბაკალავრი;
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა ამჯად ქანდილმა ისაუბრა ექსპერტთა დასკვნაში ასახულს ძირითად მიგნებებსა და რეკომენდაციებზე. ყურადღება გაამახვილა პერსონალის კვალიფიკაციაზე, სამუშაო სივრცეებზე, პროგრამის შინაარზე და სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ანზორ გოგიბერიძემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც მიზნებსა და ამოცანებს ეხებოდა, აღნიშნა, რომ მოცემული მიზნები, რაც წარმოდგენილია დოკუმენტში,

არის ერთი საერთო მიზნის სხვადასხვა პატარა ნაწილი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში მიზნები და ამოცანები საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით დეტალურად არის მოცემული. ამასთან, სტუდენტები სწავლების პროცესში კლინიკურ პრაქტიკას გადიან აფილირებულ საზოგადოებრივ აფთიაქებსა და ჯანდაცვის დაწესებულებებში, რაც პირდაპირ მიუთითებს იმას, რომ ეს არის საზოგადოების საჭიროება და სტუდენტობიდანვე ჩართულები იქნებიან. ამავდროულად პროგრამაში აქტიურად არის ინტეგრირებული ეთიკისა და პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხები, რაც კიდევ უფრო გაზრდის სტუდენტის საზოგადოებრივ როლზე წარმოდგენას და ამ პროცესში მის ჩართულობას. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას, დაწესებულებას აქტიურად აქვს გამოყენებული საერთაშორისო ლიტერატურა, გათვალისწინებული აქვს ბევრი საერთაშორისო ინსტიტუტის გამოცდილება, მობილობის შესაძლებლობები როგორც სტუდენტების, ისე პერსონალის და მათი კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების კუთხით. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის, რომელიც უნივერსიტეტმა წარმოადგინა, სასწავლო შედეგები სრულიად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს. ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისი ზმნებით არის წარმოდგენილი, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ეს შედეგები იყოს გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. ამასთან, დასკვნის დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული თუ რომელი სწავლის შედეგი შეიძლება ჩაითვალოს ტერმინოლოგიურად ორაზროვნად. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგებისა და კურსების შესაბამისობის რუკა შესაბამისი დანართით უკვე მიწოდებულია. ის სრულად ასახავს პროგრამის სტრუქტურასა და შესაბამისობას სწავლის შედეგებთან.

ნინო სეფაშვილმა, მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არის ინგლისური ენის B1 დონე. გამოცდების სტრუქტურასა და მიღების პირობებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია ატვირთულია ვებ-გვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის და, რა თქმა უნდა, წარმოდგენილი იყო დოკუმენტებშიც. მეხუთე რეკომენდაციის თანახმად, რეკომენდებულია ფარმაციის საბაკალავრო პროგრამამ დაადგინოს საგნობრივი სასწავლო აკადემიური წინაპირობები, რათა უზრუნველყოფილი იქნას აუცილებელი ცოდნის მიწოდება სტუდენტთათვის. ამასთან დაკავშირებით ხაზი გაესვა იმას, რომ აღნიშნული პროგრამის სასწავლო წინაპირობები დადგენილია მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების მიხედვით და სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ჩარჩოებისა და კრიტერიუმების შესაბამისია. დაწესებულება ამ ყველაფრის გათვალისწინებით დამატებით წინაპირობებს აღარ აწესებს. მობილობით გადმოსულ სტუდენტებთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას დაწესებულება ნაწილობრივ იზიარებს.

ანზორ გოგობერიძემ მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაში გამოყენებული შეფასების სისტემები ეფუძნება, პირველ რიგში, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შეფასების შიდა პოლიტიკას, პროგრამის მიზნებს, კურსის სასწავლო შედეგების პროპორციულ ანალიზს, ასევე გამჭვირვალე და სტრუქტურირებულ კრიტერიუმებს. OSK-ის გამოცდასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა შენიშნა, რომ ის არა მარტო სამედიცინო სფეროში, არამედ ფარმაციაშიც გამოიყენება და ისინი არ არიან პირველები ამ კუთხით. განსაკუთრებით მაშინ, როცა პროგრამა ფოკუსირებულია კლინიკური უნარების განვითარებაზე და ფარმაცევტის, როგორც მთლიანი ჯანდაცვის რგოლის ერთ-ერთი აქტიური წევრის, ჩამოყალიბებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით განმარტა, რომ მედიცინის სფეროში აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის დეფიციტი არა მარტო დაწესებულების, არამედ მთლიანად ქვეყნის გამოწვევაა. ამის გამო პროგრამებში ძალიან ხშირად ჩართულნი არიან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები. თუმცა დაწესებულებას ჰყავს ფარმაციაში საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამები დამთავრებული აკადემიური პერსონალი. აკადემიური პერსონალის შერჩევა მოხდა პროფესიული ნიშნით. დაწესებულების

წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონის დადასტურებაზე. ღია აკადემიური კონკურსის პირველ ეტაპზე განსაზღვრული იყო ინგლისური ენის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, აკადემიურ პირს უნდა დაედასტურებინა ენის B2 დონეზე ცოდნა საერთაშორისო სერთიფიკატით თუ სხვა დამადასტურებელი დოკუმენტით. ხოლო მეორე ეტაპი იყო უშუალოდ გასაუბრება. მოწვეული პერსონალისთვისაც სავალდებულო იყო წარედგინათ სწავლების ენის შესაბამისი დონის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამის შემდეგ დაწესებულებამ უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ შემოთავაზებული ორთვიანი კურსი შესთავაზა უცხო ენაზე პროგრამაში ჩართულ პერსონალს. 4.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა, რომ საექსპერტო ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს კამპუსის პირველ სართულზე განთავსებული კლინიკური სწავლების ცენტრი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სიმულატორებითა და მანეკენებით. აღნიშნული ცენტრი აღჭურვილუბასთან ერთად წარმოდგენილია დოკუმენტში. აღნიშნული ცენტრი ერთი კვირის ინტერვალში დაათვალიერა მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის გარე შემფასებელმა საექსპერტო ჯგუფმა, რომელმაც პირობითი აკრედიტაცია მოიპოვა. აღნიშნულმა ჯგუფმა აღნიშნული რეკომენდაცია სრულად შესაბამისად ცნო. მაშასადამე, დაწესებულება 4.4 სტანდარტს არ ეთანხმება. ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული ჰქონდა ისიც, რომ ფარმაკოლოგიის ლაბორატორია არის 22 სტუდენტზე გათვლილი, რაც არ ეყოფა სტუდენტების იმ კონტინგენტს, რომელსაც ითხოვს დაწესებულება. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს პროგრამა გათვლილია 200 სტუდენტზე. პროგრამა არის ოთხწლიანი, ანუ კურსზე უნდა იყოს 50 სტუდენტი, რომელიც 2 ჯგუფად გადანაწილდება. ფარმაკოლოგიის ლაბორატორია გამოიყენება პროგრამით გათვალისწინებულ 6 საგანში, ესენია: ზოგადი და არაორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, ბიოქიმია, ფარმაკოგნოზია, გაზაფხულის სემესტრში კი ორგანული ქიმიისა და ფარმაკოგნოზიის მეორე ნაწილი. უნივერსიტეტის შინაგანაწესი გულისხმობს 6 დღიან სასწავლო პროცესს და ორცვლიან რეჟიმს. ყველაფრის გათვალისწინებით, ეს ლაბორატორია ფარმაციის პროგრამას დასჭირდება შემოდგომის სემესტრში კვირაში 16 საათით, ხოლო გაზაფხულზე - 8 სთ.

ნინო სეფაშვილმა მე-14 სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების ბიუჯეტში გაწერილია როგორც ადმინისტრაციული პერსონალისთვის, მაგალითად მატერიალური სტიმულირების მექანიზმი. აფილირებაზე არის დამატებითი დანამატის ხელშეკრულება. გარდა ამისა, ბევრი აქტივობა ხორციელდება უნივერსიტეტში, მაგალითად უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ, რომელიც მოწვეულ თუ აკადემიურ პერსონალს სთავაზობს განსავითარებელ აქტივობებს. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს თანხები კვლევით ნაწილზე, უცხოეთში გამოსაქვეყნებელი სტატიების ხარჯებზე. ასევე ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ფარმაციის პროგრამაზე პერსონალთა რაოდენობა იზრდება და გადინების მაჩვენებელი არ დასტურდება.

ლადო მკერვალიშვილმა შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტი უკვე მესამე წელია ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესშია და მიუხედავად იმისა, რომ არანაირი შემოსავალი არ ჰქონია უნივერსიტეტს მდგრადობის პრობლემა არასდროს დადგომია. მან ასევე ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე გათვალისწინებულია საკმაოდ სოლიდური თანხები აკადემიური პერსონალის განვითარებისათვის, მარკეტინგული და ინფრასტრუქტურული ხარჯების მხარდაჭერა და ა.შ.

რუსუდან კვარაცხელიამ მე-18 რეკომენდაციასთან დაკავშირებით შენიშნა, რომ დაწესებულებამ ექსპერტებს დოკუმენტაციის სახით წარუდგინა აკრედიტაციის თვითშეფასების ჯგუფის, პროგრამის განვითარების ჯგუფის, სკოლის საბჭოს სხდომის წარმოდგენილი ოქმები, რითაც დასტურდება, რომ პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში აქტიურად იყვნენ ჩართული აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი, დარგის სპეციალისტები და დამსაქმებელი პირები. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს არ ჰყავდა სტუდენტები სხვა უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ ჩართულები. ერთადერთი მონაწილეობას ვერ იღებდნენ კურსდამთავრებულები, რადგან ახალი გახსნილია დაწესებულებაა და ლოგიკურია, რომ არ ჰყავს კურსდამთავრებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები და კითხვები.
ქეთევან აფთარაშვილმა კვოტასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა კონკრეტულად მედიცინის მიმართულებით რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმება და საერთო მატერიალურ-ტექნიკური ბაზები როგორ იქნება გადანაწილებული მედიცინისა და ფარმაციის სტუდენტებს შორის.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მედიცინის პროგრამაზე მესამე კურსიდან ძირითადი სტუდენტთა რაოდენობა მიდის აფირირებულ კლინიკებში და ის რესურსი, რაც ექსპერტების მიერ არის შეფასებული, იმ კონტინგენტის მიერ მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენება. ფარმაციას მაქსიმუმ დღენახევარი სჭირდება ლაბორატორიაში საქმიანობისთვის, დანარჩენ დროს კი მედიცინა გამოიყენებს.
საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა თუ რას ითვალისწინებს ორგანული ქიმიის კურსში ესეების წერა და როგორ ემსახურება სტუდენტს ექსპერიმენტული უნარ-ჩვევების განვითარებაში. ასევე სილაბუსში მითითებულია, რომ სემინარზე შეფასება ხდება ზეპირი გამოკითხვით და საბჭოს წევრს აინტერესებდა თუ რატომ არის ეს მეთოდი არჩეული. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა სტუდენტები ლაბოლატორიულ აქტივობებს ჯგუფურად აკეთებდნენ თუ ინდივიდუალურად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის მიზანია ექსპერიმენტული უნარების განვითარება და სწორედ ამისთვის არის მოცემული ლაბორატორიული მოდულები, რომელთა ძირითადი შინაარსი და მიზანი არის სხვადასხვა სუბსტანციების მომზადების, ვარირების პროცესის ქიმიური რეაქციების ვიზუალიზაცია ისწავლონ და ა.შ. თუმცა ლაბორატურიული სწავლება გადატანილია ბოლოში და თავიდან ხდება სტუდენტის თეორიული მომზადება. რაც შეეხება ზეპირ გამოკითხვას, ის უზრუნველყოფს ცოცხალი დისკუსიის წარმოქმნას სემინარის პროცესში, რაც მეტად ეფექტურად მიაჩნიათ დაწესებულების წარმომადგენლებს. მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო არ არის მედიცინისთვის დამახასიათებელ აქტივობებში ფარმაციის სტუდენტების ჩართვა, თუმცა მიიჩნევენ, რომ ფარმაცევტსაც უნდა ჰქონდეს გარკვეული ცოდნა ამ მიმართულებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა კვლავ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა ნაყენების ზედაპირის მომზადების კურსის სწავლება როგორ ხდება მხოლოდ 2 საათში.
ანზორ გოგიბერიძემ განმარტა, რომ ამ კუსში ზეპირი გამოკითხვა საჭიროა, რადგან შემოწმდეს ნაყენების კლასიფიკაციის ცოდნა, ექსტრაქციის პრინციპების ცოდნა, რა და როგორ გამოიყენება უსაფრთხოების სტანდარტების მიხედვით. საათების ხანგრძლივობის თვალსაზრისით დაწესებულება მიიჩნევს, რომ საკმარისია, რადგან საქმე ექნებათ საბაზისო ნაყენებთან.
ლევან შავაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა ფარმაციის განხრით არსებობს თუ არა დაწესებულებაში რაიმე ბაზა ფარმაციის პროგრამის განხორციელებისთვის, რომელსაც ესაჭიროება განვითარება თუ დაწესებულებას საერთოდ არ აქვს ლაბორატორიები.
ამჯერად ამჯად ქანდილმა აღნიშნა, რომ საერთოდ არ არის შესაბამისი უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიები ფარმაცევტულ სწავლებასთან. ერთ-ერთ ლაბორატორიაში იყო მხოლოდ 5 სკამი მაგიდებთან და 5 კედელთან, რაც საკმარისი არ არის სტუდენტთათვის. კლინიკურ სწავლებასთან დაკავშირებითაც არ არის პოზიტიური შეფასება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:05
დასრულების დრო: 20:31

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის "აიიუთი"-ის ფარმაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადება დამატებითი გარემოებების შესწავლის მიზნით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტს "აიიუთი"-ის ფარმაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადაიდო და აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მეცხრე და მეათე პუნქტების საფუძველზე, საბჭომ დამატებითი გარემოებების შესწავლის მიზნით გადადო საკითხის განხილვა.

3. მესამე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ხელოვნებათმცოდნეობა
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

აცილება განაცხადა მაქსიმ იავიჩმა, აცილების საფუძველი იყო შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, პიტერ პურგმა, ისაუბრა ექსპერტთა დასკვნაში ასახულს ძირითად მიგნებებსა და რეკომენდაციებზე. ყურადღება გაამახვილა პროგრამის ძლიერ მხარეზე,

პროგრამის მონიტორინგის სისტემაზე, ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობებზე. დასკვნის სახით აღნიშნა, რომ კავკასიის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამას წარმატებულად განხორციელების და გრძელვადიანი განვითარებისთვის სწორი პოზიცია უჭირავს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულებამ მადლობა გადაუხადა როგორც ექსპერტებს გაწეული შრომისთვის, ასევე საბჭოს წევრებს დროის დათმობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:38
დასრულების დრო: 20:43
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბერამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს დადგენილებით შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 17 ივნისს.

4. მეოთხე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ციფრული კომუნიკაცია და მედია - არტის" საბაკალავრო და "გრაფიკული დიზაინის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ციფრული მედიის ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180

სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: გრაფიკული დიზაინი
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

აცილება განაცხადა მაქსიმ იავიჩმა, აცილების საფუძველი იყო შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, "ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის" პროგრამის მიზნებზე და სწავლის შედეგებზე, დაშვების წინაპირობებზე. გრაფიკული დიზაინის პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ შენიშვნები არ აქვს. ექსპერტი მიიჩნევს, რომ როგორც დიზაინის პროგრამას აქვს დაშვების წინაპირობა შემოქმედებითი ტური, ასევე უნდა ჰქონდეს ციფრული კომუნიკაციის პროგრამასაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა საგანმანათლებლო სივრცეში არის ახალი, თუმცა ის სრულად შესაბამისია დარგობრივ დოკუმენტთან. 1.1. და 1.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებას დეტალურად აქვს გაცემული საკუთარი პოზიცია არგუმენტირებულ დოკუმენტში. მან ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული პროგრამის შესაქმნელად უნივერსიტეტმა მოიწვია კონკრეტულად ამ დარგის გამორჩეული სპეციალისტები და მათი ხედვით კანონმდებლობასთან შესაბამისად არის შემუშავებული პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი. 1.4 რეკომენდაციაზე აღინიშნა, რომ 60%-ზე მეტი სწორედ ტექნიკური საგნები არის ჩართული პროგრამაში. არგუმენტირებულ პასუხში კი დეტალურად არის ჩამოთვლილი ეს საგნები. ამასთან 180 კრედიტიანია პროგრამა, აქედან 136 კრედიტი ძირითადი სპეციალობის საგნებს ეთმობა, დანარჩენი 44 კრედიტი არის არჩევითი. ხარისხის ნაწილში განსაზღვრულ

რეკომენდაციას არ ემხრობა დაწესებულება. აღინიშნა, რომ ტრენინგების ციკლი ჩატარდა უნივერსიტეტში პერსონალისთვის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ხაზი გაესვა იმასაც, რომ შედეგების რუკის სრულყოფილად წარმოება არის შეუძლებელი, რადგან ორიგრამა ჯერ არ ამოქმედებულა. შედეგების მიღწევის შეფასებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული ელექტრონული პროგრამა, სადაც ჩაშენებულია პროგრამის შედეგები და შედეგების მექანიზმი მთლიანად.
ანა მგალობლიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი პროგრამაზე მუშაობის პირველივე წამიდან დაეყრდნო ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნებს. შესაბამისად, დოკუმენტში ნათლად არის მიზნების თანხვედრა. პროგრამა ყველა იმ მიზანს ფარავს, რაც შეიძლება პროგრამაში მოიაზრებოდეს. დაწესებულება აქცენტს არ აკეთებს კლასიკური პროგრამის დარგებზე, უბრალოდ ეს ნაწილინ ჩართული აქვს პროგრამაში.
გიორგი სალუქვაძემ აღნიშნა, რომ დღევანდელობაში დიდი როლი დაეკისრა ეგრედწოდებულ კრეატორს, შესაბამისად, მოთხოვნაც დიდია. დამსაქმებელს სურს ისეთი კადრი, რომელიც თავად მოიფიქრებს კრეატიულ იდეას, გადაიღებს, დაამონტაჟებს, დაამენეჯმენტებს. შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სწორედ ასეთი კადრის ჩამოყალიბებას. შემოქმედებით ტურებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულება კატეგორიული წინააღმდეგია ამის, რადგან ის არ ეძებს კონკრეტული ნიჭის მქონე ადამიანს, არამედ ეს ყველაფერი საჭიროა მისი შემოქმედებითი აზროვნების გასავითარებლად.
დიანა მჭედლიშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამაში გასაგებად არის ნათქვამი და ჩამოთვლილი დასაქმების სფეროები და პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს ენიჭება ციფრული მედიის ბაკალავრის კვალიფიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტს. მას აინტერესებდა კვალიფიკაციის მინიჭების საკითხთან დაკავშირებული პრობლემა რატომ არ იყო აღნიშნული დასკვნაში ან ვიზიტზე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამის შესახებ წამოყენებული ჰქონდა საკითხი, რადგან ბუნდოვანი იყო.
საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა საბაკალავრო ნაშრომი რა ტიპის კვლევას მოიცავს. მას ასევე აინტერესებდა თუ სტუდენტი გააპროტესტებს ნაშრომს შეფასების გამო, რა მექანიზმებია დაგეგმილი ამის ასახსნელად და მოსაგვარებლად.
გიორგი სალუქვაძემ ფინალურ პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის უნდა იყოს პრაქტიკული, შემოქმედებითი და ასევე სტუდენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური ნაწილი.
შეფასების სისტემასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მეტად გამჭვირვალე იყოს როგორც სტუდენტისთვის, ისე ლექტორისთვის. 2 ქულიანი სხვაობა არსად არ არის, და თუ არის გრაფაში მითითებულიც იქნება რა შემთხვევაში იღებს ამ ქულას.
ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. რეკომენდაციის მიხედვით საგნები, რომლებიც პროგრამაში არის ჩართული შეუსაბამოა, რადგან ექსპერტებმა მარტივად მიიჩნიეს. მას აინტერესებდა რომელ საგნებზე აკეთებენ ისინი აქცენტს.
ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს დარგობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა კონკრეტულად თუ რა ნაწილში პროგრამა არ შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს.
მაია ლევანიძემ განმარტა, რომ თუ კრეატორი ყველა სფეროს მოიცავს, მაშინ პროგრამაც უნდა იყოს გარკვეული კუთხით ყოვლისმომცველი. მან აღნიშნა, რომ ის არ მოიცავს დარგის განსაზღვრებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:06
დასრულების დრო: 22:31

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ციფრული კომუნიკაციის და მედია - არტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე, აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილებით შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ციფრული კომუნიკაციის და მედია - არტის" საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2030 წლის 31 დეკემბრამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 17 ივნისს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის "გრაფიკული დიზაინის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე, აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილებით შპს კავკასიის უნივერსიტეტის "გრაფიკული დიზაინის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2030 წლის 31 დეკემბრამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 17 ივნისს.

5. **მეხუთე საკითხი:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ტურიზმი
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმის ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

აცილება განაცხადეს ბონდო გასვიანმა და ირინა ლობჟანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეფასდა პირველი, მეორე სტანდარტი და მეოთხე სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ დაფიქსირებულა რეკომენდაცია და არც რჩევა. შესაბამისად, ყველა სტანდარტი სრული შესაბამისობით შეფასდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:36
დასრულების დრო: 22:39

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის „განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილებით, შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა: "შპს უნივერსიტეტ გეომედის „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 თებერვლის №472208 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ცვლილების შეტანის შესახებ.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 თებერვლის №472208 გადაწყვეტილებაში, რომელიც შეეხება შპს უნივერსიტეტ გეომედის „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ, დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი: გადაწყვეტილების პირველ პუნქტში საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განსაზღვრულია „2023 წლის 21 თებერვლამდე“, ნაცვლად 2032 წლის 21 თებერვლისა. მიზანშეწონილია, რომ გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
"შპს უნივერსიტეტ გეომედის „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 თებერვლის №472208 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი შპს უნივერსიტეტ გეომედის „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2025 წლის 28 თებერვლის №472208 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
"1. დაკმაყოფილდეს შპს უნივერსიტეტ გეომედის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2023 წლის 21 თებერვლამდე."

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 27 თებერვლის №415507 სხდომის ოქმში ტექნიკური ცვლილების შეტანის შესახებ.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის №210672, 27.02.2025 ოქმში არასწორადაა დაფიქსირებული სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დაფიქსირებულია „რესურსების მართვის მაგისტრი", რომელი კვალიფიკაციაც არ არსებობს სწავლის სფეროების კლასიფიკატორში. ხოლო თავად გადაწყვეტილებაში არის სწორად ნმითითებული - "საჯარო მმართველობის მაგისტრი. ამის მიზეზი შესაძლებელია ყოფილიყო ის გარემოება, რომ ექსპერტთა საბოლოო დასკვნაში არასწორად იყო მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია.
მიზანშეწონილია, აღნიშნული ჩანაწერი ოქმში (მეორე საკითხი) და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ნაწილში ფორმირდეს შემდეგი სახით:
"მეორე საკითხი: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა."

"პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სახელმწიფო რესურსების მართვა;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 122."

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 27 თებერვლის №415507 სხდომის ოქმში ტექნიკური ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის №210672, 27.02.2025 ოქმში და სხდომის ოქმის მეორე ნაწილში, - "სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა." - პროგრამა №2 სახელმწიფო რესურსების მართვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდეს შემდეგის სახით:
"მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი;"

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულა 22:50 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე